**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #33**
**გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ.ქუთაისი 09 ოქტომბერი 2020 წელი.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №23 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისის დირექტორის მ/შ ნესტან სიხარულიძის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") მეორე მხრივ, შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა"(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შავგულიძის სახით (შემდგომში– „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**
1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლის ცეცხლმაქრობის გადამუხტვა OY-3, 2 ცალი; ცეცხლმაქრობის გადამუხტვა OP-5, 2 ცალი; ცეცხლმაქრობის გადამუხტვა OP-4, 1 ცალი. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
CPV-35100000

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**
2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 137 (ასოცდაჩვიდმეტი) ლარს და 00 თეთრს.
2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშწორება**
3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.1 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლოობაში.

**მუხლი 4. მომსახურეობის მიღების ადგილი და ვადა**
4.1 ქალაქი ქუთაისი დ.არაყიშვილი N15
4.2 მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება ხელმოწერიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**
***დამკვეთი ვალდებულია:***
5.1 შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;
***. შემსრულებელი ვალდებულია:***
5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში

***5.4 დამკვეთი უფლებამოსილია:***
3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

***5.5 შემსრულებელი უფლებამოსილია:***
მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.
6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

**მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა**
7.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
7.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.
7.3 მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.
7.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**
8.1 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.
8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 9. დავის გადაწყვეტა**
9.1 მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 10. ფორს მაჟორი**
10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
ხელშეკრულება ძალაში ხელმოწერიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
**მუხლი 11. სხვა პირობები**
ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**დამკვეთი:**

სსიპ ქალაქ ქუთაისის №23 -ე საჯარო სკოლა

მის. დ.არაყიშვილის I №15

ტელ. 0431272928
ს/კ 212706080
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE60LB0121156357950000

**დირექტორი ს მ/შ ნესტან სიხარულიძე**

___________________________
(ხელმოწერა)

**შემსრულებელი:**
**შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“**

საიდენტიფიკაციო კოდი: 412702302

მისამართი: ქ.ქუთაისი, ტიციან ტაბიძის 29

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის/ნ GE60BG0000000855036300

**დირექტორი: /მ.შავგულიძე/**

___________________________
(ხელმოწერა)

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერით

Mamuka Shavgulidze

Digitally signed by Mamuka Shavgulidze
Date: 2020.10.09 14:34:10 +04'00'